## ზოგადი ტექნიკური დავალება

1. უნდა შეიქმნას სრულად მოქმედი, განახლებადი ვებსაიტი ქართულ და ინგლისურ ენებზე;
2. ვებსაიტი უნდა იყოს მოქნილი დიზაინის და მომხმარებელმა უნდა შეძლოს სხვადასხვა ტიპის მოწყობილობიდან და ბრაუზერიდან ესტუმროს ვებსაიტს, ვიზუალური და შინაარსობრივი ცვლილებების გარეშე ("Cross Browsing")
3. საიტის მომზადებისას გამოყენებული უნდა იყოს უახლესი ტექნოლოგიები - XHTML, CSS 3, PHP, MySQL, JavaScript;
4. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ვებსაიტის ოპტიმიზაცია (SEO მხარდაჭერა) სხვადასხვა საძიებო სისტემებში (Google, Bing, AOL, Yahoo და სხვა)
5. ვებსაიტის ადმინისტრირების პანელი უნდა იყოს სამართავად მარტივი და სპეციფიკურ ცოდნას არ უნდა საჭიროებდეს. ადმინისტრირების პანელიდან შესაძლებელი უნდა იყოს გვერდების დამატება/რედაქტირება/წაშლა. ყველა სათაურისა და ქვესათაურის ცვლილება. გვერდის დამატებისას სასურველი „ვერსიის დამატება“;

6. შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთს ჩაუტაროს ტრეინინგი ვებსაიტის სრულად ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით; ხოლო საიტის დამკვეთისათვის გადაცემიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 წლის განმავლობაში უზრუნველყოს ტექნიკური მხარდაჭერა (აღმოჩენილი ხარვეზების, ე.წ. „ბაგების" გასწორება, საიტის ტექნიკურად გამართვა)

**მიწოდების ვადები**

- ვებსაიტის შექმნა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 თვეში.
- შემსრულებელი ვალდებულია ყოველი თვის ბოლოს დამკვეთს წარუდგინოს შესრულებული სამუშაოების შედეგები.

**ანგარიშვალდებულების პირობები**

- ფინანსური ოპერაციებისას გამოიყენება მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმა
- ანგარიშსწორება მოხდება ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, ანგარიშწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღეში.

**მოთხოვნილი დოკუმენტაცია**

განაცხადის წარმდგენმა უნდა მოამზადოს და წარუდგინოს დამკვეთს შემდეგი დოკუმენტაციები ელექტრონული ფორმით:

- დეტალური ბიუჯეტი (ეროვნულ ვალუტაში, ლარში);
- გუნდის მიერ განხორციელებული პროექტები (პორტფოლიო)

DELTA International

- დამკვეთისგან მიღებული დავალების შესაბამისი ესკიზი, რომელიც მოიცავს მთავარ გვერდს და ასევე, რამდენიმე შიდა გვერდს (ესკიზის სახით შეიძლება წარმოდგენილი იყოს პორტფოლიოდან ყველაზე მსგავსი ტექნიკური დავალების მქონე ვებ-გვერდის დიზაინი, გაითვალისწინეთ, რომ დამკვეთი არ ითხოვს სრული დიზაინის შემოთავაზებას სამუშაო პერიოდის განმავლობაში.
- პროექტზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია (პროექტზე პასუხისმგებლობა კომპანიიდან/ორგანიზაციიდან უნდა აიღოს ერთმა ფიზიკურმა პირმა, რომელიც კომპანიის საკონტაქტო პირი იქნება პროექტზე მუშაობის განმავლობაში).

### ინფორმაციის მოწოდება

ზემოთ ჩამოთვლილი მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, PDF ფორმატში, ელექტრონულ მისამართზე: nmeskhi@deltainternational.ge დანიშნულებაში გთხოვთ, მიუთითოთ “**Delta International Website**”.

DELTA International

### ტექნიკური დავალება

**აუცილებელი ფუნქციები**

- ვებსაიტი უნდა იყოს მინიმალისტურ სტილში.
- ვებსაიტი არ უნდა იყოს მრავალგვერდიანი და „მძიმე“.
- ვებსაიტის ზედა მარჯვენა კუთხეში უნდა იყოს ენის ცვლილების **ღილაკი,** რომელიც დროშებით იქნება წარმოდგენილი ( **GEO; ENG** )
- ვებსაიტის მთავარ გვერდზე, სასურველია იყოს წარმოდგენილი სსსტც „დელტა“-ს პროდუქცია, რომელიც ჩასმული იქნება პატარ-პატარა მრგვალ იკონებში და მაუსის მიდებით გადიდდება, ხოლო

მასზე დაკლიკვით გადავა კონკრეტული პროდუქტის სრულ ინფორმაციაზე

1. <u>**მთავარი სლაიდერი ყველა მონაცემი, ყველა ველი უნდა იყოს ადმინ პანელიდან კორექტირებადი.**</u>
2. **საინფორმაციო გვერდი** - შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს ტექსტთან ერთად გვერდზე განთავსდეს სხვადასხვა განყოფილებები. თავში განთავსებული უნდა იყოს საიმიჯო ფოტო (ბანერი), ხოლო მიყოლებული ტექსტი. სათაურისა და ქვესათაურის ვარიანტები უნდა იყოს შემოთავაზებული ფიქსირებული ფონტითა და ფერით. ხოლო კონტენტის ტექსტი უნდა იძლეოდეს ფერის, ზომის ცვლილებას. კონტენტი კოპირებითა და განთავსებით (copy-paste) უნდა იყოს გადმოტანადი ვორდისა და ექსელის ფაილებიდან ისე, რომ განთავსების შემდგომ საიტზე მოხდეს კორპორატიულ ფონტად გადაკეთება, ხოლო სათაურების და ქვესათაურების მონიშვნა ადმინმა უნდა გააკეთოს ხელით (manually).

**ყველა მენიუს და ქვე-მენიუს რედაქტირება, წაშლა, დამატება, დამალვა, გამოჩენა, შესაძლებელი უნდა იყოს ადმინ პანელიდან ღრმა ტექნოლოგიური ცოდნის გარეშე.**

- ვებსაიტი უნდა იძლეოდეს სხვადასხვა ტიპის ფაილების განთავსების საშუალებას (word, pdf, excel, jpg, png, rar, zip);
- ვებ-გვერდის ფერები და ვიზუალური კონცეფცია უნდა შეესაბამებოდეს ორგანიზაციისთვის დამახასიათებელ სტილს.

DELTA International